ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2201 | კვირა, 6 ივლისი | 1896—1903 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2201

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: [illegible] სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-133 №-რი.

3 მან. და 50 კ. ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივლისიდან წლის დამლევამდე

სიკვდილამდე
დაზღვევა
უბედურებისაგან
რკინის გზებითა და წყლით მოგზაურობის დროს

შეიძლება „როსია“-ს საზოგადოების გამგეობაში (პეტერბურგი, მორსკაია, 37), განყოფილებაში ქ. ტფილისში (სერგიევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების ყველა აგენტებთან იმპერიის ქალაქებში.

(6—117—2)

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ
საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **მტრუხა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგაის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.

დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

კავკასიის ოფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—18)

იბეჭდება

ნაწერები სერ. მესხისა

ორ ტომად, გამოცემა ს. ფირცხალავასი.

პირველ ტომში დაბეჭდილი იქნება ნაწერები 1869—1878 წლებისა, მეორეში—ნაწერები 1879—1883 წ., მოგონებანი სხვა-და-სხვა პირისა ს. მესხის შესახებ და წერილები ს. მესხისა.

პირველ ტომში მოთავსებული იქნება აგრეთვე ავტორის სურათი და ავტოგრაფი, მეორეში ავტორის და გიორგი წერეთლის სურათი (ერთად) 1872 წლისა.

მიიღება ხელის მოწერა. ხელის მომწერთათვის ორივე ტომი ღირს 1 მან. 20 კ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში წ. კითხვის მაღაზიაში (Тифлисъ, Общество распростр. грамотности), აგრეთვე ქუთაისში მიტრ. ლალიძესა და ვას. ბეჟანიშვილთან.

◆ პირველი ტომი უკვე იბეჭდება და გამოვა ივლისში ◆

მეორე ტომი გამოვა სექტემბერში. (5—6.—3)

რადგან კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

1 ივლისიდან 10 აგვისტომდე სოფლად იქნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქნება. (5—3)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

მუხის პარკეტის

იატაკი

მიღებული რუსეთის საუკეთესო ქარხნიდან, ყოველ გვარ სახისა და ხელმისაწვდენ ფასად. შეკვეთა შეიძლება ა. ი. პოტრებსკის სადურგლო სახელოსნოში, ვერის დაღმართის ქვემოდ, ხიდთან, № 2. (1—123—1).

ახლად გახსნილი მაღაზია

ხატებისა და ყოველივე საეკლესიო სამკაულისა

კ. დ. კოზახიძისა.

ბლომად მიღებულია ხატები, ხატების ჩარჩოები და ყოველივე ეკლესიური სამკაული. მიიღება შეკვეთება. ქალაქ გარეთ დაკვეთილი იგზავნება დაუყოვნებლივ.

მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში არმიანსკი და სოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თუმაევისა. (8—6.—3).

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და შაბათობით, 11—12 საათამდე.

მრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ვლადიკავკასკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 ბ.

(წლ.) ტელეფონი № 274.

საერო განათლების მინისტრის ცირკულიარი

(შემდეგი *)

„ეჭვს გარეშეა, რომ სასტიკის ზომებით დისციპლინის აღდგენა მოუხერხებელია. მაგრამ არც ის შეიძლება, რომ სასწავლებლის მთავრობამ საქმეს სრულიად ყურადღება არ მიაქციოს. მწუხარებით უნდა გამოვტყდეთ, რომ სასკოლო ადმინისტრაციის წევრნი თავიანთ დაუდევრობას მოსწავლეთა ყოფა-ქცევის გასწორების საქმეში ამართლებენ ხელმწიფე იმპერატორის 1901 წლის 25 მარტის რესკრიპტში გამოთქმულ სიტყვებით. ეს რესკრიპტი გენერალ-ადიუტანტის ვანოვსკის სახელზე იყო და შეეხებოდა მოსწავლეთათვის მზრუნველობას. ყოველ კეთილ-სინიდისიერ პედაგოგისთვის აშკარა უნდა იყოს, რომ გულწრფელი მზრუნველობა მოსწავლეთა ზნეობრივ წარმატებისათვის, თხოულობს ერთგვარ სისტემას აღზრდისას, რომელსაც შეუძლიან მიაჩვიოს ჭაბუკი კანონიერების პატივისცემას. ამას გარდა გულწრფელი მზრუნველობა ავალებს აღმზრდელს, თავის დროზე გაუღვიძოს ახალგაზრდას დანაშაულობის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, მაშასადამე, როცა საჭირო იქნება, სასტიკ ზომებსაც უნდა მიმართოს. როდესაც, დასასრულ, საპედაგოგიო საბჭო დარწმუნდება, რომ მოსწავლე განგებ მტრულის თვალით უყურებს წეს რიგს, რომ იმაზე კურსის გათავებამდე არავითარმა ჩაგონებამ და კეთილმა რჩევამ არ იქონია გავლენა, იგი მოვალეა მოსწავლეს ზნეობრივ უმწიფობისა გამო ნება არ მისცეს გასათავებელ ეგზამენების დაჭერისა. ამ ზომას პირდაპირ სიკეთის გარდა ის სასურველი შედეგიც მოჰყვებოდა, რომ უმაღლეს სასწავლებელში გზას დაუხშობს მავნე და არა კულტურულ ელემენტებს.

„რაც შეეხება იმ საშუალებებს, რომელთა მეოხებითაც საპედაგოგიო კრებულს შეუძლიან თავიდან აიცდინოს ზემო ჩამოთვლილი არა სასურველი მოვლენანი და დაიცვას მოსწავლე იმ გამწარებისა და გაბრაზებისაგან, რომელსაც იგი უფროს კლასებში ეძლევა გარეშე აგიტატორების გავლენით, ამისთვის გადაჭრით უნდა მოვითხოვო, რომ მასწავლებელნი და უფროსნი არ აძლევდნენ მოსწავლეებს შეუფერებელ და უხამს შენიშვნებს. შემცდარი ანუ უხერხული პასუხი მოსწავლისა უნდა გაასწოროს მასწავლებელმა მშვიდობის, საქმის ცოდნით, სასაცილოდ არ უნდა აიგდოს მოსწავლე და არ გაამწაროს. უფროსისა და მასწავლებლის დარიგების ყოველმა სიტყვამ ისეთი გავლენა უნდა იქონიოს მოსწავლეზე, რომ იფიქროს, ჩემის სიკეთისათვის ზრუნავენო. მასწავლებელმა და უფროსებმა ყველაფრით უნდა დაამტკიცონ, რომ თავდაჭერილად იქცევიან და მოსწავლისთვის მზრუნველობენ; ასეთი ბეჭედი უნდა აჯდეს ყოველ იმათ მოთხოვნილებას, ყოფა-ქცევის დაფასებას და სხვას. როგორც სკოლაში გამოვლილს პირველ უსამართლობას, ისე ჭაბუკის ადამიანურ გრძნობის შელახვას შეუძლიან ახალგაზრდას გულში ჩანერგოს უნდობლობა საზოგადოებრივ წყობილებისა და სასწავლებლის მიმართ.

(შემდეგი იქნება).

---

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 2200.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ლუბეს მოგზაურობას ინგლისში აქამდე თითქმის არავინ არ აძლევდა პოლიტიურ მნიშვნელობას. ეს მოგზაურობა მარტო იმის ნიშანია, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შუა ამ ჟამად მეგობრული ურთიერთობა არსებობსო, ამბობდნენ გაზეთები. ეხლა კი გაზეთებს შეუტყვიათ, რომ ამ მოგზაურობას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდაო, ლონდონში ლუბემა და ინგლისის მთავრობამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საქმეებზე მოილაპარაკესო.

გაზეთი „ეკლერ“-ი სწერს: „დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ლონდონში დიდი ამბები მოხდა; იმას ვერ ვიტყვით, ვითომ ინგლისსა და საფრანგეთს ახალი ფორმალური კავშირი შეეკრათ, მაგრამ ერთი რამ კი დარწმუნებით შევიტყეთ: ინგლისი და საფრანგეთი ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ ამ დაახლოვებას ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობაზედაც და მთელ ევროპის პოლიტიკაზედაც დიდი გავლენა ექნება... გერმანული გაზეთები ამბობენ, ვითომ რუსეთი ძლიერ შეეწუხებინოს ინგლის-საფრანგეთის დაახლოვებას. ეს ტყუილი ცნობაა. დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთმა წინადვე იცოდა ყველაფერი, რაც კი ლონდონში მოხდა“.

◆ ჩვენის ლონდონელ კორესპონდენტის წერილებიდან მკითხველს ეცოდინება, რომ მთელ ინგლისში თავისუფალ ეკკლესიების წევრებმა უარი გამოაცხადეს სასკოლო გადასახადის მიცემაზე და დიდს წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას. ეხლა გაზეთები იუწყებიან, ეს მოძრაობა თანდათან მეტად ძლიერდებაო. სასამართლოები სავსეა ამნაირ საქმეებით. ამისთანა საქმეების გარჩევის დროს დამსწრე საზოგადოება მანიფესტაციებს ჰმართავს, თანაგრძნობას უცხადებს ბრალდებულებს და პროტესტს აცხადებს სამართალში რად აძლევენ ხალხს, სრული უფლება აქვს სასკოლო გადასახადი არ გადაიხადოსო.

◆ ლიბერალურ პარტიის მეთაურებმა, ვერ იქნა, ვერ გადასწყვიტეს, როგორ მოიქცნენ და რა ითავონ, რომ ჩემბერლენის სადამოენო პროექტს საკადრისი პასუხი გასცენ. 26 ივნისს დეპუტატთა პალატის სადგომში ყველა ყოფილი ლიბერალი მინისტრები შეიყარნენ და ამ საქმეზე თათბირი გამართეს. კრებამ გადასწყვიტა, ჯერ ამ საქმეზე გაბედვით ნურც დეპუტატთა პალატაში ჩამოვაგდებთ ლაპარაკს, ნურც ლორდთა პალატაშიო; ლიბერალებმა რომ პარლამენტში მთავრობის გაკიცხვა მოინდომონ, უსათუოდ დამარცხდებიან, რადგან უნიონისტები, საპარტიო დისციპლინის დასაცველად, მთავრობის პირს დაიჭერენო. იმავე დღეს

მეორე ლიბერალურ კრებასაც ჰქონდა ლაპარაკი ამ საგანზე. კრებას 90-მდე დეპუტატი დაესწრო, მაგრამ გადაჭრით ვერა დაადგინეს რა და კრება სხვა დროსთვის გადასდეს.

◆ ამ დღეებში მუშების დეპუტატმა კრუქსმა დეპუტატთა პალატაში უზარ-მაზარი პეტიცია მიიტანა 69,684 კაცისაგან ხელ მოწერილი. პეტიციაში ხალხი თხოულობს, ერთ კაცს, რომელსაც, ძალზე გაჯავრებულს, თავის საყვარელი ქალი მოეკლა, სიკვდილით ნუ დასჯითო. სიკვდილის დასჯის მაგიერ, დამნაშავეს 20 წლით ციხეში დამწყვდევა გადაუწყვიტეს.

საფრანგეთი. გაზეთებს შეუტყვიათ, რომ პირველი მინისტრი კომბი მალე დიდ პოლიტიკურ სიტყვას წარმოსთქვამსო. კომბი ილაპარაკებს იმის თაობაზე, თუ აქამდე რა გაარიგა მთავრობამ და რის გაკეთებას აპირებს საპარლამენტო კანიკულების დროს. ამას გარდა, პირველი მინისტრი ხალხს იმ პროექტებს გააცნობს, რომლების შეტანასაც მთავრობა აპირობს, როცა პარლამენტის სესია დაიწყებაო.

ავსტრო-უნგრეთი. უნგრეთში ტორონტალის კომიტატში სოფლის მუშებმა სამუშაო ქირის მომატება მოითხოვეს, ბევრგან მომკლეებმა გაფიცვაც მოახდინეს. ზოგგან, სადაც მუშები ძლიერ ღელავდნენ, ჯარი და ჟანდარმები გაჰგზავნეს. პუსტალარიაში, სადაც მუშებსა და პოლიციას შეტაკება მოუვიდათ, ჟანდარმებმა რევოლვერები ესროლეს ხალხსა და 6 მუშა მოჰკლეს.

◆ უნგრეთის დამოუკიდებლობის პარტიის ზოგიერთ უკიდურეს წარმომადგენელს დაუდგენია, ობსტრუქციაზე ხელს ნუ ავიღებთ, პარტიიდან გავიდეთ და ბარაბაშის მეთაურობით ცალკე ჯგუფი შევადგინოთო. ჯერ-ჯერობით ძლიერ ცოტა მომხრე ჰყავს ამ ჯგუფს.

შეერთებული შტატები. ინდიანას შტატში, ქალ. ევანსვილში თეთრი ხალხი ძლიერ გადაჰკიდებია ზანგებს. ბოლოს დროს ამ ქალაქში თეთრ ხალხსა და ზანგებს ბევრი შეტაკება მოუვიდათ. მთავრობის განკარგულებით 16 ზანგი ციხეში ჩასვეს იმ აზრით, რომ თეთრებისაგან გადაერჩინათ. თუმცა ციხეს მილიცია და პოლიციელების რაზმი იცავდა, მაინც 1000-მდე თეთრი კაცი ციხეს დაეცა და უნდოდა, რომ ზანგებისათვის ლინჩის კანონის ძალით გადაეჭრა სამართალი, ანუ უბრალოდ რომ ვსთქვათ, თავის ხელით აეგო ანდერძი. მილიცია იძულებული იყო თეთრის ხალხისათვის თოფები ესროლა; 32 კაცი მოჰკლეს და დასჭრეს. ხალხი მხოლოდ ამის შემდეგ გაიფანტა. რომ უფრო დიდი უწესოება არ მოხდეს, ევანსვილში კიდევ გაჰგზავნეს მილიციის რაზმები.

გერმანია. „დ. ალგ. ცაიტუნგ“-მა დასწერა: იმპერატორი ვილჰელმ მე-II პაპის დასაფლავებაზე დასასწრებლად აპირობს წასვლას, თუ პაპი თავის ავადმყოფობას ვერ გადურჩებაო. „პარი ნუველ“-ის რომაელი კორესპონდენტი იწერება, ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვატიკანსა და კვირინალშიო. კორესპონდენტი სწერს: „ჯერ არც ერთი მეფე არ დასწრებია პაპის დასაფლავებას, პაპის ყოველთვის მარტო სამღვდელოება ასაფლავებს და იმპერატორის დასწრება სწორედ უცნაური იქმნებოდა. უმაღლესის პოლიტიკურის მოსაზრების ძალითაც უხერხული იქმნება იმპერატორის მოსვლა. სანამ ახალ პაპს აირჩევდნენ, კარდინალები ყველაზე მეტად იმას სცდილობენ, რომ გარეშე პირების გავლენა აიცილონ თავიდან. ამ დროს რომში მყოფი ელჩებიც კი ახლო არ ეკარებიან სამღვდელოებასა და კარდინალებს. მძლავრ იმპერატორის მოსვლა რომში ყველას აღელვებს, რადგან ყველა იფიქრებს, ალბად, იმპერატორს სწადიან, პაპის არჩევანზე გავლენა იქონიოსო. საკვირველია სწორედ, იმპერატორმა თითონვე როგორ ვერ მოიფიქრა ესა. სულ სხვა ნაირად იქცევა იტალიის მეფე: სრულებით არაფერში არ ერევა და რასაც კი ამომრჩეველ კარდინალების უფლების შეზღუდვა შეუძლიან, ყველაფერს ერიდება. იტალიელებსაც ძლიერ ეწყინათ, როცა გაიგეს, გერმანიის იმპერატორი მოსვლას აპირობს რომშიო. სად უნდა ჩამოხტეს იმპერატორი? რასაკვირველია, კვირინალში, იტალიის მეფესთან ვერ ჩამოხტება. ისიც კი შეიძლება, რომ მეფემ სულაც არ მიიღოს იმპერატორი, იმიტომ რომ ვილჰელმ მე-II განგებ პაპის დასაფლავებაზე დასასწრებლად იქმნება მოსული. იმპერატორი მეფე ჰუმბერტოს დასაფლავებასაც არ დასწრებია. ამიტომ იმის დასწრება ლეონ XIII დასაფლავებაზე ძლიერ საწყენი იქმნება იტალიის მეფისათვის. იტალიის მთავრობის წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ იმპერატორი ამ განზრახვას არ შეასრულებსო.

ბოლგარია. ეხლანდელი სამინისტრო, მეტადრე პირველი მინისტრი რაჩო პეტროვი და შინაგან საქმეთა მინისტრი პეტკოვი თვალში არ უზის ზოგიერთ რუსულ გაზეთს, მაგალითად „პეტერბურგ. ვედომ.“-ს და „ნოვოე ვრემია“-ს. რა მიზეზია, რომ ეს მინისტრები ჰკუაში არ მოსდით რუსულ გაზეთებს? ჯერ ერთი იმიტომ არ მოსწონთ, რომ ეს მინისტრები სტამბულოვის პოლიტიკას მისდევენ, ე. ი. ცდილობენ, რომ ბოლგარია დამოუკიდებლად იქცეოდეს შინ, თუ გარედ და თავის საკუთარ ინტერესებს იცავდეს. მერე კიდევ იმიტომ, რომ ამ მინისტრებმა კონსტიტუცია დაარღვიეს. რუსულ გაზეთებს ეს ამბავი უფრო აწუხებთ: როგორ გაბედეს და რუსეთისაგან ნაბოძები კონსტიტუცია დაარღვიესო! რით დაირღვიეს მინისტრებმა კონსტიტუცია? აი რითა. რუსეთის მომხრე ცანკოვისტებმა იმ დროს, როცა სამინისტროც და საერო კრების უმეტესობა იმათ პარტიის ხელში იყო, კანონი გამოსცეს: როცა სამინისტრო იცვლება, წინანდელ მოხელეების გამოცვლა არავის შეეძლოსო. იმ დროს მოხელეებიც სულ ცანკოვისტები იყვნენ, მიშასადამე ამ კანონის ძალით ბოლგარიაში საუკუნოდ რუსოფილი მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ. ახალ მინისტრების აზრით, ეს კანონი მეტად უსამართლო და უხერხული კანონია; თუ მთავრობას მოხელის გამოცვლის უფლება არა აქვს, თავის მოვალეობასაც რიგზე ვერ შეასრულებსო. პეტროვის სამინისტროს თხოვნით, მთავარმა ფერდინანდმა ამ კანონის ზოგიერთი მუხლი საერო კრების დაუკითხავად გააუქმა. ბოლგარიის ოპოზიციამ ამაზე დიდი პროტესტი გამოუცხადა მთავრობას, მრავალი მუქარაც შეუთვალა და დღესაც მედგრად ებრძვის თავ-ნება მინისტრებს და მთავარს. რასაკვირველია, მინისტრები და მთავარი სტყუიან, მაგრამ არც თუ ცანკოვისტები მოქცეულან ალალ-მართლულად, როცა ეს ახირებული კანონი გამოუციათ. რუსული გაზეთები კი მარტო ეხლანდელ სამინისტროს ამტყუნებენ ყველაფერში და რუსეთის მომხრე ცანკოვისტების მზაკვრულ ქცევას კი ცამდე ამართლებენ.

ახალი ამბავი

◆ **კარგა ხანია ქალაქის ნოქრები და მოსამსახურენი** თხოულობენ 12 საათის მუშაობის დაწესებას. აქამდე დუქნებს ხშირად დილის 7 საათზე აღებდნენ და საღამოს 10—11 საათზე ჰკეტავდნენ, ასე რომ დღე-ღამეში 15—16 საათის მუშაობა უხდებოდათ. 3 და 4 ივლისს თამამშოვის ქარვასლის ნოქრებმა 8 საათზე გაანებეს მუშაობას თავი და დილითაც 8 საათზე ადრე არ მოვიდნენ.

პარასკევს, 4 ივლისს, გუბერნატორის განკარგულებით, ვაჭართა საზოგადოებაში, კ. მ. ალიხანოვისა და პ. ი. ალიბეგოვის მონაწილეობით, მოხდა მოლაპარაკება **სამუშაო დროის განწესრიგების შესახებ სავაჭრო დაწესებულებებში.** მოლაპარაკებას მრავალი ვაჭარი დაესწრო. საჭიროდ სცნეს, რომ მაღაზიები დილის 8-ზე გაიღოს და საღამოს 8 საათზე დაიკეტოს.

◆ მიწათ მოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით, ერთი დასი უკვე წავიდა გუმბრის მაზრაში **სახელმწიფო გლეხთა ყოფა-მდგომარეობის მოსაწყობად.** სხვა დასები ამ დღეებში წავლენ სამუშაოდ ბორჩალოს მაზრაში. დასების მუშაობაში მომრიგებელმა შუამავლებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

◆ ეს რამდენიმე დღეა **ტფილისში სახლების შენება შეჩერებულია.** მიზეზი ის არის, რომ ამშენებელნი და კალატოზ-დურგალნი ერთმანეთში ვერ მორიგებულან. ეს უკანასკნელნი სამუშაო ფასის მომატებას თხოულობენ, ხოლო პირველთ საზარალოდ მიაჩნიათ ფასის მომატება. რამდენიმე დღეა მოლაპარაკება აქვთ, მაგრამ შეთანხმებით-კი ჯერ-ჯერობით ვერ შეთანხმდნენ.

◆ ქალაქის **თვით-მართველობაში მოსამსახურე ფერშლები** თხოულობენ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ ფერშლებს თვეში 30 მანეთი აქვთ ჯამაგირი. ქალაქში ცხოვრება გაძვირდაო და ეს ფული საკვებადაც აღარა გვყოფნის, არა თუ შვილების აღსაზრდელად და სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაო. ფერშლები თვეში 50 მანეთს თხოულობენ. ურიგოს არ იზამს ქალაქის საბჭო, თუ ამ სამართლიან მოთხოვნილებას ყურადღებას მიაქცევს და ფერშლებს ჯამაგირს მოუმატებს. უმეტესი ნაწილი ფერლებისა ცოლ-შვილიანი ხალხია და ვინ არ იცის, მთელის ოჯახისთვის რა ძნელია ტფილისში 30 მანეთით თავის შენახვა.

◆ ხუთშაბათს, 4 ივნისს, მეექვსე საპოლიციო უბანში, გეურქ კირაკოზოვის საწვრიმალო დუქანში, **მკვლელობა აღმოაჩინეს.** კირაკოზოვს ამხანაგი ჰყავნდა კარაპეტ თომაევი. აი, თომაევი ჰნახეს მოკლული დუქნის უკანა ოთახში. გასინჯვის დროს გვამს ხუთი სასიკვდილო ჭრილობა აღმოაჩნდა. ხერხემლის ძვალიც გადაჭრილი იყო. მკვლელს, როგორც ეტყობოდა, ხანჯალი უხმარნია. კირაკოზოვმა ეჭვი განაცხადა ამავე დუქანში ნოქრად ნამყოფზე, სიღნაღის მაზრის სოფელ ვაქირის მცხოვრებს 18 წლის მოსიკო ჯანუაშვილზე, რომელიც სადღაც დაიმალა. კირაკოზოვმა ისიც განაცხადა, რომ ჯანუაშვილს მკვლელობა გასაძარცვავად ჩაუდენიაო. შეუდგნენ მკვლელის ძებნას. პირველ ხანს მეცადინეობამ უნაყოფოდ ჩაიარა, მაგრამ შემდეგ პოლიციამ გაიგო, რომ ჯანუაშვილი ერთ დუქანში ქეიფობს, კოჯრის გზაზე, ოქროყანაშიო. გაგზავნილმა პოლიციის მოხელემ მართლაც ჰნახა დუქანში მკვლელი ამხანაგთან ერთად. დაპატიმრებული ჯანუაშვილი მაშინვე გამოტყდა მკვლელობაში,

ფელეტონი

—

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

განა ამ ქვეყნის შვილნი თავისუფალნი არ უნდა იყვნენ?—თურმე ვინ ყოფილა დაჩაგრული!—ჩვენი ბრალია.—აბაშელი ექიმი.—ქუთაისელთა დარდები და ოცნებანი.

...დიაღ! ქვეყანაზე ბევრი რამ არის, ბევრი რამ ხდება, რაიც გაუგებარია არამც თუ უბრალო მომაკვდავისათვის, არამედ ფილოსოფოსებისათვისაც-კი. ვინ იფიქრებდა, მაგალითად, რომ რუსეთში დღეს გაბატონებულნი არიან ებრაელები, პოლონელები, ფინლანდელები, ბალტიის გერმანელები, სომხები! (ნუ გეშინიათ, ქართველებს არავინ გვახსენებს: ჩვენ ხომ „პატივისცემით“ გვეპყრობიან და ასეთს შეურაცხყოფას როგორ მოგვაყენებენ! იქ არა გვყავს „ჩვენი“ ველიჩკო?).

თურმე კანონი, სამართალი, თეატრი, მწერლობა, ყველა დაწესებულება გარეშე ტომთა ხელშია, უცხოელნი არიან რუსეთის ცხოვრების მბრძანებელნი, მათ დაუმონებიათ ნამდვილი რუსები. ებრაელები, პოლონელები და სხვები ეწინააღმდეგებიან რუსის ხალხის „დემოკრატიულს“ პრინციპებს, გაიძახიან: „ნუ დასცინით, ნუ სცემთ ებრაელს, პოლონელს, სომეხსო! ნუ შეავიწროებთ არა-რუსთ!“ აბრიყვებენ რუს-ლიბერალებს და საჯაროდ, მოურიდებლად ქადაგებენ... საშინელებაა ამას წარმოთქმა! —ქადაგებენ ძმობას, ერთობას, სიყვარულს!

დამჩაგვრელნი ყოფილან თურმე სხვა ტომნი („საზიზღარ“ ებრაელებს რომ ჰკითხოთ, კი...) და შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს რუს-ნაციონალისტთა კლუბის—რუსკოე სობრანიეს—დაარსება პეტერბურგში, რომლის საგანია რუსების განთავისუფლება ებრაელთა, პოლონელთა, სომეხთა დამონებისაგანო. რასაკვირველია, ეგვე საგანი აქვს ველიჩკოს—რუსკი ვესტნიკს, მასვე გაიხდის თავის დევიზად „პეტრ. ვედ.“-ბი ახალ პატრონების ხელში....

„ძირს კაცობრიობა და ძმობა“. „გაუმარჯოს პატრიოტობას—მგლობას!“ ასე გაიძახის ერთხელ კიდევ ერთი ველიჩკოს-გრინგმუტის ბანაკის მწერალთაგანი, ბ. ენგელგარდტი, ოდესღაც გერმანელი, ეხლა რუსის ნაციონალისტი.

* *

ჩვენ კი გვეგონა, რომ... მაგრამ უკაცრავად! შეგვიძლია ჩვენ განა რამე გვეგონოს, რამე ვსთქვათ?

ფიქრები... მხოლოდ ფიქრები!

ერთის ქართულის გაზეთის ფიქრით (და არა თქმით!), „კვირას, 29 ივნისს, პეტრე-პავლეს ეკკლესიაში დღეობა იყო, ავლაბარში. დღეობას დიდძალი ხალხი დაესწრო, რომლის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ხალხში სამდურავი ისმოდა, რომ წირვა-პარაკლისზე ქართულის ლოცვისა და გალობის ხსენებაც არ იყო, თუმც მღვდლები და მთავარ-დიაკონი სულ ქართველები არიან. განა არ შეიძლებოდაო, ჰფიქრობს გაზეთი—რამდენიმე ასამაღლებელი, ან საგალობელი ქართულადაც ეთქვათ, რომ არც ერთის ტომის ხალხი, სალოცავად მოსული, უკმაყოფილო არ დარჩენილიყო. არა გვგონია (რა გამბედაობაა?! ყოჩაღ გაზეთო!), რომ ამნაირის ერთმხრივობით ვისიმე მომადლიერება შეიძლებოდესო“.

გაზეთი რომ ამას ჰფიქრობდა, უთუოდ, მალ-მალე იხედებოდა უკან: ხომ არავინ მომდევსო. მაგრამ ნუ თუ ასეთი დანაშაულობაა პაწაწინა სურვილი, ღრმად გულში დამარხული სურვილი, რომლის წარმოთქმაც არ გვეხერხება?

არა და არა! ვსთქვათ ხმა მაღლა და თამამად და ნუ კი გავიფიქრებთ მხოლოდ გულში.

* *

ისე არაფერი არ გვიყვარს ქართველებს, როგორც ყველაფრის სხვისთვის გადაბრალება—ეს ხომ საზოგადო თვისებაა ყოველის სულით დაცემულის და განაცარქექივებულის ადამიანისა! ერთი ზარმაცი სიძე ცოლოურს სულ იმას გაიძახოდა, ძალიან ვიმუშავებ, მაგრამ, საუბედუროდ, ჩემი თოხი არ მაქვს თანაო. ჩვენც, ვინ იცის, რას არ მოვიქმედებდით, რა სასწაულებს არ ჩავიდენდით, რომ... რომ...

ეგ სულ ტყუილია. თუ ეკკლესიაში ქართულად არ სწირავენ, არ სწირავენ ქართველი მღვდლები, თუ სკოლაში ბავშვებს ქართულს არ ასწავლიან, მხოლოდ მათის მამების მიზეზით. დუშეთის სასწავლებელში მოსწავლეებმა ქართული სრულებით არ იციანო; არ გეგონოთ კი, რომ რაიმე გარეშე მიზეზისა გამო. სასწავლებელში ქართული ენა შემოღებულია კანონით, დანიშნულია მასწავლებელიც, ქართველი მღვდელი. მხოლოდ მღვდელი მოუცლელობისა გამო (ახირებული არგუმენტია!) არაფერს ასწავლის ბავშებს: რად უნდათ ქართული ენა.

* *

ასეთი დროების შვილია ის აბაშელი (ქუთაისის მაზ.) ახალგაზდა ექიმიც, რომელიც მეტის-მეტად ფულის მოყვარული გამომდგარა. რაც უნდა, გაჭირვებული და ღატაკი სოფლის გლეხი მივიდეს მასთან, ის მაინც თავის დიპლომს დაუფასებელად აფასებს და ისე ავადმყოფს არ გასინჯავს, თუ წინდაწინ არ ჩაუთვალეს ხელში ფულიო.

მოკლე შინაარსის ყოფილა ბ. აბაშელ ექიმის დიპლომი. ასეთის შინაარსის შეძენა აქაც შეიძლებოდა! რა საჭირო იყო ამისათვის შორს უნივერსიტეტში წასვლა და 5—6 წლით მეცადინეობა?მაგრამ,მოგეხსენებათ, დღეს კაცის თუ ნივთის ღირება მარტო შინაარსით არ დაიფასების. საჭიროა ერთი დიდი თვისება,—ყველასი და ყველაფრის შენს ლუკმად აღიარება. ამას ზოგიერთები ცხოვრების კანონს ეძახიან, ზოგნი—დარვინის თეორიას, ზოგნი—ჭკვიანის და ძლიერის კაცების უფლებას, ზოგნი—სიბრძნეს, ზოგნიც კიდევ... უსინდისობას.

რასაკვირველია, აბაშელ მკურნალისა და დუშეთელ სულიერ მამის შემწეობით ჩვენი ქვეყანა არც ხორციელად და არც სულიერად არ განიკურნება.

და მართალს ჩივის ერთი კორესპონდენტი: თუმცა ჩვენში ბევრი დაწესებულებაა, ბევრი „ჩინოვნიკია“, რამდენიმე პირი უმაღლესის სწავლით არის აღჭურვილი, მაგრამ ქვეყანას მაინც წარმატება არ ეტყობაო: იგივე სიღარიბე, ბინძურობა, ავადმყოფობა, მინგრეულ-მონგრეული სახლები, დაგლეჯილ-დაფლე-

ივერიელი

ამასთან განაცხადა, რომ 200 მანეთამდე შევკრიბე სამსახურის დროს და ეს ფული მოკლულს მივეცი შესანახად, მაგრამ იმან მიითვისა, ხშირად ვეხვეწებოდი და ვეუბნებოდი, დამიბრუნებინა ფული, მაგრამ არ მიბრუნებდაო; მკვლელობის ღამეს დუქანში მხოლოდ ორნი დარჩენილან. მოკლული თომაევი ცალკე ოთახში იწვევდა თურმე მოსალაპარაკებლად. ამასთან **საზიზღარ წინადადებას** მაძლევდა და ამით შეურაცხებას მაყენებდაო, უთქვამს მკვლელს. მაშინ გაჯავრებულს ჯანუაშვილს წაუქცევია თომაევი, აუღია ხანჯალი და რამდენსამე ადგილას მძიმედ დაუჭრია. როგორც თვითონ უთქვამს, ფული არაფერი წაუღია, ჩამჯდარა ეტლში და მჭედლიძის დუქანში წასულა კოჯრის გზაზე. მეორე დღეს მედუქნესთვის 2 მანეთი მიუცია და კოჯრისაკენ წასულა, მაგრამ გზაში ხუციშვილის დუქანში შესულა, სადაც პოლიციის მოხელეს დაუპატიმრებია. ჯიბეში ჯანუაშვილს 4 მ. 34 კაპეიკი აღმოაჩნდა. გამოირკვა, რომ 15 მანეთი დაუხარჯავს. ჯანუაშვილთან ერთად დააპატიმრეს მჭედლიძეც.

✦ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებთან არსებობს სულ 48 **წიგნთ-საცავი**. უმთავრესი ნაკლი ამ წიგნთ-საცავებისა ის არის, რომ წიგნები ქართულ ენაზე სრულიად არ მოიპოვება.

✦ ხმოსნის თამამშევის მოხსენება ვერაზე სამკურნალოს დაარსების შესახებ განიხილა ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო საბჭომ და საჭიროდ სცნო, ჯერ დიდუბეში დაარსდეს სამკურნალო. ამიტომ საბჭომ დაადგინა გადასდოს **4,000 მან.** დიდუბეში სამკურნალოს განყოფილების დასაარსებლად. თუმცა პრინციპიალურად საბჭომ ვერელებისათვისაც საჭიროდ სცნო განყოფილების დაარსება, მაგრამ, ფულის უქონლობისა გამო, ეს საკითხი განუხილველი დასტოვა.

✦ მთელ კავკასიაში პირველ-დაწყებითი სამრევლო **სკოლა ყოფილა** 720, სამინისტრო კი 850. საერობო თანხიდან პირველზე ე. ი. სამრევლოზე 17,000 მანეთი იხარჯება, ხოლო სამინისტროსაზე—85,000 მანეთი.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია, უფრო გააძლიეროს და **გააფართოვოს ტფილისის საბოტანიკო ბაღი.** მკითხველებს ეხსომებათ, რომ სამინისტრომ ამ ბაღს მოუმატა ადგილი, გაადიდა მოსამსახურეთა შტატი და სხვა. ამას გარდა სამინისტრო ამიერიდან წელიწადში 2000 მანეთს მეტს გადასდებს. ეს ფული მოხმარდება უკვე არსებულ პრაქტიკანტთა სკოლის გაფართოვებას და სხვა საჭიროებას.

✦ ბ-ნ ხახანაშვილთან ერთად **სვანეთში გაემგზავრა** მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლა დასრულებული ზ. ფალიაშვილი, რომელიც „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მინდობილებით ხალხურ სიმღერებს შეჰკრებს სვანეთში.

✦ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ბ-ნ ს. ი. ყარაბეგოვს გამართოს **საავტომობილო მიმოსვლა ბორჯომ-ახალციხე-აბასთუმანს** შორის. ბ-ნი ყარაბეგოვი ჰფიქრობს ავტომობილების მოწყობას როგორც მგზავრთათვის, ისე სხვა-და-სხვა საქონლისათვის.

✦ **აწყურის სამრევლო სკოლასთან** (კახეთში) არსებულ სამეურნეო განყოფილებას, რომელზედაც ყოველ წლივ იხარჯებოდა 460 მანეთი, როგორც შევიტყეთ, მომავალ სამოსწავლო წლიდან გაუქმებას უპირებენ.

✦ ამას წინად ტრამვაის მეთვალყურე კომისიამ ცუდის ფარნების ტარებისათვის ვაგონებში **უსახელო საზოგადოება დაჯარიმა**. ამ ჯარიმისა დღევანდლამდე შესდგა 3190 მან. ქალაქის მოურავმა ეს ფული მოსთხოვა საზოგადოების წარმომადგენელს, მაგრამ იმან გუშინ, 5 ივლისს, შეატყობინა, მე თანახმა არა ვარ გამგეობის დადგენილებისა და გთხოვთ, ხელმეორედ გადაათვალიეროთ თქვენი დადგენილება და ჩვენც მიგვიწვიეთ, რათა დაგიმტკიცოთ, რომ ფარნები რიგიანი გვაქვსო. გამგეობა ხელმეორედ განიხილავს ამ საკითხს.

✦ ქართლ-კახეთის ეპარქიაში **საკვირაო სკოლა** მხოლოდ სამ სამრევლო-საეკლესიო სკოლასთან ყოფილა: ტფილისში (60 მოსწავლე), თელავში (150 მოსწავლე) და სოფ. ახალქალაქში (40 მოსწავლე). ამ სკოლებში ასწავლიდნენ: ანბანს, უმთავრესს ლოცვებს, 12 საუფლო დღესასწაულის ისტორიას და ანგარიშს 100-დის.

✦ 3 ივლისს დაუსაფლავებიათ გორში ახლად გარდაცვალებული ექიმი ტატიევი. ახალგაზრდა ექიმის გარდაცვალებამ გორელნი ძალიან დააღონა და დააძმარა თურმე. დასაფლავებას მთელი გორი დასწრებია. კუბო მრავალის გვირგვინით შეუმკიათ.

✦ საქართველოს საეპარქიო **სამრევლო-საეკლესიო სკოლებს** შარშან ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ოთხმა ქალაქის თვით-მმართველობამ აღმოუჩინა დახმარება: ერევნისამ, ბაქოსამ, განჯისამ და ყარსისამ.

✦ ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ ქალაქის გამგეობას წარუდგინა ხარჯთ-აღრიცხვა სასწავლებლების სხვა და სხვა **საჭიროების** დასაკმაყოფილებლად. სულ ხარჯად გამოანგარიშებულია 3000 მანეთი.

✦ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ **გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა** საბჭოს დადგენილებანი დიდის მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულისათვის ძეგლის აგების შესახებ, ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა.

✦ ტფილისის საგუბერნიო საპყრობილეზე **ქალაქის წყლის გადასახადი** დარჩენილია 795 მან. ბევრი ფულია დარჩენილი აგრეთვე სხვა დაწესებულებებზედაც. გუშინ ქალაქის მოურავმა სთხოვა გუბერნატორს, განკარგულება მოახდინოს, რომ ამ დაწესებულებებმა დროზე გადაუხადონ ქალაქს ფული.

✦ ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარმა გამგეობამ წინადადება მისცა **ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას**, გაგზავნოს ნიჟნი-ნოვგოროდში იარმუკის დროისთვის ორი ისეთი ტელეგრაფისტი, რომელთაც იუზის აპარატზე იციან მუშაობა. ასეთს ტელეგრაფისტებს ძალიან თურმე საჭიროებენ იქ.

✦ გუშინ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას შეიტანოს ხაზინაში 795 მან., რომელიც ქალაქისაგან ეძლევა ამ უწყებას მოხელეთა სადგომებისთვის.

✦ ტფილისის ქუჩების საუკეთესო სისტემით მოსაკირწყლებლად კომისიამ დაადგინა, მოიწვიოს ტეხნიკოსი სატეხნიკო სამუშაოებისთვის და დაუნიშნოს თვეში 150 მან. კომისიამ ამ თანამდებობაზედ დაასახელა ტეხნიკოსი ბ-ნი ივანოვი.

✦ გუშინწინდელ ნომრის (2199) ერთ ახალ ამბავში სამწუხარო შეცდომა შეგვეპარა. მოხსენებული გვქონდა, რომ „თათაოზ მიხაილოვს გაუტანია გასასყიდად ჯვარი ბრილიანტებით მორთული და ოქროს სამაჯური. მიხაილოვს ეს ნივთები სადღაც მოპარული აღმოაჩნდა. ქურდი დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცესო“. საქმე ასე მომხდარა: მიხაილოვთან ვიღაც კაცს მიუტანია გასასყიდად ზემოხსენებული ნივთები. მიხაილოვს საეჭვოდ უცვნია ეს ნივთები და გამოუკითხავს მომტანისთვის, რომლისაც უთქვამს, რომ ვოგზალის მახლობლად ვიპოვნეო. მაშინ მიხაილოვს ნივთები უსტაბაშთან გაუგზავნია. ნივთები, ვიდრე პატრონი აღმოჩნდება, უსტაბაშთან ინახება.

✦ ტფილისის მე-5 საპოლიციო უბნის ბოქაულის თანაშემწე ფუნდრიკოვი გადაიყვანეს მე-7 ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ.

რუსეთის ქრონიკა

✦ როგორც ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, მოსკოვის სამოსამართლო პალატას გაურჩევია საქმე უწესოებათა შესახებ, რომელიც 1902 წელს 3 მარტს მოხდა ერთ სამანუფაქტურო ქარხანაში. მიზეზი უწესოებისა ის ყოფილა, რომ სამუშაო დრო დიდი იყო და არც კარგად იყო განაწილებული. ამას გარდა, მუშების აზრით, გადამეტებულ მუშაობის რაოდენობას რიგზე არა სწერდნენ და ფულს სრულად არ აძლევდნენ. ამის გამო ეზოში შეიკრიბნენ მუშები და მუშაობა შესწყვიტეს. დირექტორისა და მუშების მოლაპარაკებამ ნაყოფი ვერ მოიტანა. მუშებმა თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს, მაგრამ დირექტორმა არ მიიღო. დილითვე მოვიდა საქარხნო ინსპექტორი და დაიყოლია მუშები. მაგრამ 12 საათზე მუშებმა საქმე შესწყვიტეს, დაიარეს განყოფილებანი და გამორეკეს გარედ ის მუშები, რომელნიც მუშაობდნენ. შეიკრიბა ეზოში რამდენიმე ასი კაცი. საქმე ისე გამწვავდა, რომ მოვიდნენ სხვა-და-სხვა მოხელენი. ამ უწესოების დროს დაშავდა ბევრი დარაჯი. ეს საქმე გაარჩია ზემოხსენებულმა პალატამ. პალატაში გამოირკვა, რომ ქარხანაში საძაგელი წესები ყოფილა. ერთ შენობაში კიბის ქვეშ მუშების ორი დასამწყვდევი ადგილი ყოფილა, ცივი და ნოტიო. თითო დასამწყვდევის სიგანე 1 არშინი და 12 გოჯი იყო თურმე, სიგრძე 5 არშინი, სიმაღლე 1 საჟ. ამ კარცერში ერთი ან ორი კაცი ძლივს ეტეოდა, ამწყვდევდნენ კი, როგორც ურიადნიკმა პ.—მ განაცხადა, ზოგჯერ 10 კაცამდე. ხშირად ზამთარში მუშას ზედა ტანისამოსა ჰხდიდნენ და ისე ამწყვდევდნენ. ამწყვდევდნენ მუშებს ჩხუბისა და სხვა საქმეებისათვის. ყოფილა ასეთი მაგალითიც: 9 საათს შემდეგ მუშა თავის ფულით ნაყიდ სანთელზე წიგნს კითხულობდა. აი, ამგვარ „დანაშაულობისთვის“ ჩაუსვამთ მუშა კარცერში. პალატამ ბრალდებულთ გადაუწყვიტა სამ-სამი თვით დაპატიმრება.

✦ ეკატერინოსლავში უფროს საქარხნო ინსპექტორის ს. ი. ეგტუშევსკის წინადადებით, ტრამვაის ადმინისტრაცია ჰმართავს იქ, სადაც ვაგონები ჩერდება, ბუფეტებს კონდუქტორებისათვის. იქვე იქნება საპირფარეშოები. კონდუქტორების სამუშაო დრო დღეში 10 საათი დაწესდა. ამაზე მეტიც შეუძლიათ იმუშაონ კონდუქტორებმა, მხოლოდ ნება-ყოფლობით, ამასთან მარტო ოთხი საათი. მხედველობაში მიიღო ინსპექტორმა კონდუქტორების სხვა საჩივრებიც, მაგალითად, ის, რომ კონდუქტორები ბევრად იმაზე უფრო ადრე მიდიან, ვიდრე ვაგონები იწყებს მუშაობას. ხშირად კონდუქტორებს დეპოდან ვაგონები გამოაქვთ და ამაში ფულს არ იღებენ და სხვა. ამ საქმეებისთვის ადმინისტრაციამ მუშები მიიწვია. საქარხნო ინსპექტორმა იმასაც მიაქცია ყურად-

---

ტილი ტანისამოსები და გამოთაყვანებული, სიცოცხლეს მოკლებული სახეები!

ქვეყანას წინ ვერ წასწევს ის „ინტელიგენცია“, რომელსაც ჯერ თვითონ ესაჭიროება გაინტელიგენტება, რომელიც არამც თუ მოკლებულია ძლიერ სულს, მოკლებულია პასსიურ ღირსებას—ზნეობრივ სიწმინდეს. ეს წინ-სვლის სისუსტე, სხვათა შორის, ცხადად და მარტივად გამოიხატება ჩვენებური ბიბლიოთეკების დაარსების და არსებობის ისტორიებში. მთელს არხს გაიყვანდა ადამიანი გემებისათვის იმ სიტყვის, ოფლის, ძალის და სისხლის დახარჯვით, რომელიც იხარჯება რომელიმე პატარა ბიბლიოთეკის დაარსებისათვის. იმართება კრებები, ინიშნება კომისიები, გამგეობანი, იმართება წარმოდგენები, სეირნობანი, საღამოები, პიკნიკები და რამდენიმე წლის შემდეგ შეიკრიბება სულ ოცი, ოცდა-ათი მანეთი, რომელიც ხშირად სრულიადაც არა ხმარდება ბიბლიოთეკას (ამის დაარსების სურვილი უკვე ეკარგება ყველას) და სადღაც და როგორღაც იკარგება, ჰქრება, როგორც გაჰქრა და შეიმოსა წყვდიადით ცხინვალის ბიბლიოთეკისათვის შეკრებილი ორმოცდა-ათი მანეთი ბოქაულის სამმართველოში (თაგვებს შეუჭამიათო, ამბობს მწერალი. ალბად, ქაღალდის ფული თუ იყო!)

ამბობენ, ბევრგან სხვაგანაც ჰქრება სხვა-და-სხვა საზოგადო საქმისათვის შეკრებილი ფულიო. მართალია?

* *

ჩვენი ცხოვრების უვარგისობა ისე ნათლად არსად არ წარმოგიდგებათ თვალ-წინ, როგორც ქუთაისში. იშვიათია ასე ჩამორჩენილი ქალაქი. მარტო იმერთა თანდაყოლილ ცხოველ-მყოფელობით და მოუსვენრობით აიხსნება, რომ ქუთაისი ამდენ ხანს სამარედ არ გადაქცეულა. ქუთაისს ასცდა რკინის გზა, ასცდა მრეწველობა, ვაჭრობა. კიდევ ყოჩაღად იყო, ვიდრე დიდი და მნიშვნელოვანი გუბერნიის ცენტრი იყო, მაგრამ პირველ ივლისიდან, მას შემდეგ, რაც მოაშორეს ბათუმისა და სოხუმის ოლქები, ისეც სუსტი კიდევ უფრო დაპატარავდა და თავდაღმა დაეშვა.

სად არის ქუთაისის ხსნა? ვინ იქმნება მისი მხსნელი? გადამეტებულის რწმენის ადამიანს შეუძლიან მხოლოდ დაგვისახელოს ერთიც და მეორეც...

მკვდარია და უსიცოცხლო ქუთაისი განსაკუთრებით ზაფხულობით.

დილას რომ შედიხართ ქუთაისში, ჯერ კიდევ მოძრაობა არსადაა და ყველაფერი მტვერით არის დაფარული. როგორც კი ამოძრავდება სიცოცხლე, ყოვლად მოუხერხებელია ქუჩებზე სიარული, ისეთი მტვერია ამდგარი, რომ კაცსაც ვერ დაინახავთ ხუთ-ექვს საჟენზე. როდესაც ქარია, მაშინ ხომ ჯოჯოხეთში ყოფნა სჯობია, ვიდრე ქუთაისში. მტვერთან მეტად ცხელა. დღით ქუჩაზე ძვირად თუ ვისმეს შეხვდებით. ვისაც ჰნახავთ, ყველას მოწყენილი სახე აქვს, ურწმუნო, უიმედო, პესსიმისტური. ვისაც კი საქმე არა აქვს (ასეთები ქუთაისში ბლომადაა), ლადიძის ქარხნისაკენ მიეშურება. აქ იკრიბება საღამოდან შუაღამემდის მთელი ქუთაისი. ეს არის ერთად-ერთი კულტურული გამამხნევებელი და და დამამშვიდებელი ადგილი ქუთაისლებისათვის. ხშირად ჰნახავთ ისეთს ქუთაისელს, განსაკუთრებით ცოტად თუ ბევრად განათლებულს, რომელსაც სიცხეში სული უწუხს, რომ ორი-სამი ბოთლი ლადიძის წყალი არ დალიოს ყოველდღე. ეს წყალი ისეთ აუცილებელ მოთხოვნილებად გადაქცეულა ქუთაისელ ინტელიგენტისათვის, როგორც, მაგალითად, გაზეთია ევროპიელისათვის.

დალევენ ქუთაისლები ლადიძის ტკბილს წყალს, მისვე „ბროლივით წმინდა ყინულში“ გაციებულს წყალს, გაიგრილებენ სულსა და გულს და მაშინ, ცოტა არ იყოს, მათი პესიმისტური აზრები გაიფანტება, იმედი ეძლევათ: ვინ იცის, ეგებ ქუთაისს რამე ეღირსოს, დაწინაურდეს, ბრწყინვალე ქალაქიც შეიქნესო. მაშინ გაცხარებული და მხიარული სჯა-ბაასი აქვთ ქუთაისის ინტელიგენტებს, სხვა-და-სხვა პროექტებს იხილავენ. ერთი ამბობს, კარგი იქნებოდა, ქუთაისიდან რკინის გზას ოსეთის გზით პირდაპირ რუსეთს შეუერთებდნენო, მეორეს უფრო მოსახერხებლად მიაჩნია მეორე ლიანდაგის გაყვანა ტფილისამდე, მესამე პოლიტეხნიკუმს ნატრობს, მეოთხე აბანოების გამართვას ურჩევს საზოგადოებას, მეხუთეს აზრით, უმჯობესია ქუთაისის გარშემო ბაღები გაიმართოს და ქუთაისი სააგარაკო ადგილად გადააქციონ, ზოგი კიდევ ელექტრონის „კონკას“ და შადრევანებს ნატრობს. ამ სჯა-დავობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ქალაქის გამგეობის წევრები და ხმოსნები. ქალაქის გამგეობას უკვე გამოანგარიშებული აქვს თურმე, რა დაჯდებოდა, რომ ყოველი ქუჩა ისე მოირწყოს, როგორც მოირწყება ხოლმე დიდი წვიმების დროს. ერთს ხმოსანს კაპეიკობით გამოუანგარიშებია, თუ რა დაჯდებოდა ბუზების გაწყვეტა ქუთაისში; მეორეს დაწვრილებით ხარჯთ-აღრიცხვა შეუდგენია იმისი, თუ რა ეღირება ისეთ დიდი ელექტრონის ფარნის დადგმა გაბაშვილის მთაზე, რომელიც მზესავით გაანათებდა მთელს ქუთაისს; ხმოსნებს გამოანგარიშებული აქვთ ისიც, თუ რამდენი დაიხარჯება ქუთაისის ქუჩებზე ხის იატაკების გაკეთებისათვის და სხ.

ასე სჯიან და ოცნებობენ ქუთაისლები, ვიდრე არ შეიქნება შუაღამე, როდესაც ძალა-უნებურად ბრუნდებიან სახლებში, რომ დილაზე ისევ პესიმისტები და უიმედონი ადგნენ.

ქუთაისში ოპტიმისტურად და იმედიანად ცხოვრებენ მხოლოდ ბრწყინვალე ახალგაზდები, რომლებიც მუქთად „დაკატაობენ“, მუქთად ჭამენ და სვამენ, მუქთად „ჰკლავენ დროს“, რომელთაც მარტო ერთი დარდი აქვთ,—გაიგონ, თუ სად ამზადებენ კარგს სადილს; რომელნიც არამც თუ მუქთად ცხოვრობენ, არამედ მუქთადვე ჰკვდებიან და რომელთაც მუქთად ასაფლავებენ; რომელთაც არც ღმერთი სწამთ, არც ეშმაკი, არც თავისი თავი, არც სხვისი თავი, არც თავის ქვეყანა, არც სხვისი ქვეყანა; რომელნიც არც დედამიწაზე არიან, არც ცაზე, არც ხმელეთზე, არც წყალში, არც სამოთხეში და არც ჯოჯოხეთში, და არიან ასე გარიყულნი. ყველაფრის გარეშე, უჰაერო სივრცეში!

ღმერთო, მიეცი მათ ჰაერი!

* *

მაგრამ მარტო მათ სჭირიათ ჰაერი? ჰაერი, ჰაერი მთელს ქვეყანას, მთელს ჩვენს ცხოვრებას! ნუ თუ უჰაეროთ იმოძრავებს სისხლი ჩვენს ძარღვებში?...

სიტყვა.

ეროვნული

დება, რომ კონდუქტორები ხშირად თითებს ისველებენ და ისე ჭრიან ბილეთს. შეიძლება ასე გადაედოს რამე მგზავრს და ამას გარდა არც კონდუქტორისთვის არის სასიამოვნო მუდამ თითების სველება. ინსპექტორის ბრძანებით, ტრამვაის ადმინისტრაციამ ამ უსუფთაობის თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებულად მოწყობილი რეზინები შემოიღო.

◆ სოფლის საჭიროებათა გამომრკვევ ირკუტსკის საგუბერნიო კომიტეტს დაუდგენია, შუამდგომლობა აღძრას, რომ ირკუტსკის გუბერნიაში საერობო დაწესებულებანი იქმნას შემოღებული. კომიტეტის აზრით, ამ გუბერნიის გლეხობა საკმაოდ განვითარებულია ერობისათვის.

◆ როგორც „ფინლიანდ. გაზ.“ გადმოგვცემს, ადგილობრივმა გენერალ-გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, გაუქმდეს სამხედრო კომისარის თანამდებობანი და ამის მაგიერ დაწესდეს საქალაქო საკრებულოები.

წერილი ხევიდან

მატყლის ფასი

დიდი ხანია, რაც აქეთ მატყლის ფასი დაცემული იყო, ისე რომ დალალ-ჩარჩები და იმათი აქაური აგენტები ფუთს მატყლში 3 მანეთსა და ოთხ აბაზზე მეტს არ იძლეოდნენ. ისიც ღმერთმა უწყის, რა ნაირად უწონიდნენ! თანაც თუ წინადვე ადებული ბეი ვისმეს ეგმნებოდა, ფუთზე ერთ გირვანქა მატყლს და ერთს აბაზს გაუბრალებდნენ ჩარჩები თავის სასარგებლოდ. დღეს-კი მეცხვარეებს ბედმა გაუღიმა და სხვა შეძლებულები მოვიდნენ, რომელთაც გაზაფხულის მატყლში მეცხვარეებს მისცეს 4 მანეთი და 50 კაპ., ხოლო [illegible] მატყლში იძლევიან 5 მანეთსა და 80 კაპეიკს და პატენის მატყლში (კრავლში) 7 მანეთს ფუთში. საკვირველება ის იყო, რომ გაზაფხულის მატყლი წინა წლებში მიერ აწონილი ყოველთვის 15—17 ნამრისამდე (კანძის) იწონიდა, ეხლა-კი სხვების მიერ აწონილი მატყლი ფუთში 9—11 კანძზე მეტი არ წავიდა. მაშასადამე, სხვა ფასსაც მეტს იძლევა და წონითაც სიმართლით სწონავს. ღმერთმა ქნას, რომ აღარ დაეცეს ეს მაზანდა და ბოლომდის შერჩეს მეცხვარეებს ამისთანა ფასები. თუ ამაზედ ნაკლები ფასები იქმნება მატყლისა, მაშინ უეჭველად მეცხვარეობას ველარავინ გასწევს, რადგან ზამთარ-ზაფხულში ერთის ცხვრის შენახვა ერთ მანეთზე მეტად ჯდება საძოვრის დაძვირების გამო.

კალმის-წვერა

დაბა-სოფლები

წყალტუბო (იმერეთი). ჩვენს კუთხეში იმერეთში საზოგადოდ მრავალი სამწუხარო ამბავი ხდება, რასაც ცხადათ ამტკიცებენ ის წერილები, რომელიც მოსდის თქვენს რედაქციას სხვა-და-სხვა ადგილიდან. ჯერ ერთი თვეც არ შესრულებულა, მას აქეთ, რაც მე წყალტუბოს საზოგადოებაში ვცხოვრობ და ამ მოკლე ხანში აქ რამდენიმე შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. გლეხის ქ....ძის ქალი შეურთავს ვიღაცას. გლეხს ვაჟი არ ჰყავდა და ამიტომ სიძემ მოინდომა, იმისს საცხოვრებელს დაპატრონებოდა, მაგრამ წადილი ვერ შეისრულა, რადგან სიმამრი არ დასთანხმდა. ამიტომ გაჯავრებული სიძე მივარდა ღამე, ცეცხლი წაუკიდა იმისს სახლ-კარს და სულ ერთიანად გადაბუგა. კიდევ კარგი, რომ ქარიანი ღამე არ იყო, თორემ ცეცხლი იმ გლეხის მეზობლების სახლებსაც იმსხვერპლებდა. თვით ბოროტების ჩამდენი გადავარდა და თანაც დაიქადნა, სამი მოსახლე კაცი კიდევ უნდა გადავწვაო. ამავე საზოგადოების ორ გლეხს ჩხუბი მოუვიდათ ერთ პატარა ნაჭერ მიწაზე. დაერივნენ ერთმანეთს და ჩხუბის დროს ერთი დედაკაცი მძიმედ დასჭრეს. ეს საქმე ეხლა გამომძიებლის ხელშია.

მოუსავლობისა გამო ხალხი ძლიერ დანატრებულია ღვინოს და ამიტომაც, უკეთუ შემთხვევა მიეცათ და ღვინო იშოვეს, უზომოდ ჰსვამენ და შემდეგ ერთმანეთს აღარ ჰზოგვენ. სოფ. ჩუნეშში ესრედ წოდებულ კოხინჯრობის დღესასწაულზე დათვრალი ახალ-გაზრდა გლეხები და თავადები დაერივნენ ერთმანეთს და კინაღამ მანდილოსნებიც არ დახოცეს. მაინც ერთს აზნაურს თავი გაუჩეხეს ხანჯლით. ამ სამის დღის წინად აქ ერთი გლეხი გადაიცვალა. რადგან უქმეებით მკვდრის გასვენება სირცხვილად ჰსახნიათ, განსვენებულის ჭირისუფლებმა გვამი ადეს, ეკლეს ღვინო და შესაფერი ტირილი გამართეს. ქელეხზე ხალხმა ღვინის უზომოდ სმა დაიწყო. მიცვალებული ჯერ კიდევ კუბოში ესვენა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დათვრალ გლეხებს ჩხუბი მოუვიდათ, დაერივნენ ერთმანეთს ჯოხებით და კინაღამ თავის-თავიც სატირლად არ გაიხადეს! ასეთი ამბები ჩვენში ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, ძლიერ ხშირად ჰხდება. ყოველსავე ასეთ შემთხვევას, როგორც მოგახსენებთ, თან მოსდევს საჩივარი, მომჩივნების და მოწმეების სამსჯავროებში სიარული, დროს დაკარგვა და ზედ მეტი ხარჯი. ასე ძვირად უჯდებათ ჩვენს იმერლებს როგორც ლხინი, ისე მკვდრის გასვენება და ტირილი.

ამდენ უსიამოვნო ამბავს მინდა ცოტა რამ სასიამოვნოც დავურთო. წელს ჩვენსკენ ჯერ-ჯერობით ყოველ-გვარ მოსავალს კარგი პირი უჩანს, მეტადრე ხალხს ძლიერ ახარებს განსაკუთრებით ყურძნის სიმრავლე და სისაღე: ასეთი მოსავალი ვენახებს საზოგადოდ დიდი ხანია არ ახსოვთ.

წყალტუბელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ივლისი.

ერივანი. თავრიზიდან იუწყებიან, იმ დამნაშავეთა წინააღმდეგ, ხალხი რომ აალელეს, ღონისძიებაა მიღებული. შაჰის საიდუმლო ბრძანებით, ტახტის მემკვიდრემ თავრიზიდან უფროსი მუშტეიდი სხვაგან გაგზავნა. ტამოჟნების გამგებელი ბელგიელი პრიმი, რომელიც იძულებული იყო თავრიზიდან წასულიყო, უკან ბრუნდება. შფოთიანობას არსად დარღვეულა იმიტომ, რომ რუსეთმა ერევნის გუბერნიაში საზღვარზე ჯარი შეკრიბა.

სოფია. რუსეთის და ავსტრიის წარმომადგენელთა ბეჯითმა ქცევამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურ საზოგადოებაზე. ამ წარმომადგენლებმა სმერდეშში მომხდარ ამბების გამოძიება მოითხოვეს, მოხელეების ბოროტმოქმედება და ჯარის-კაცთა და ბაშიბუზუკების მხეცობა გამოააშკარავეს და დამნაშავენი დაასჯევინეს. იმ გამოძიების დროს, რომელიც კონსულებმა შტიპის მაზრაში მოახდინეს, ხალხმა პირველად შეიძლო თავის საჩივრის გულ-ახდით გამოთქმა.

კიევი. ივან ნიკოლოზის ძის ტერეშჩენკოს ქვრივმა კიევის უნივერსიტეტში 30,000 მანეთი შეიტანა თავის ქმრის სახელობაზე სამის სტიპენდიის დასაარსებლად. იმისი ქმარიც კიევის უნივერსიტეტში ყოფილა აღზრდილი.

ბელგრადი. მეფე ტოპოლაში მიდის; იქ დასაფლავებულია იმისი პაპა ყარა-გიორგი, 1817 წელს მოკლული.

სტამბოლი. მონასტირს ახლო ოსმალეთის ჯარსა და ბოლგართ რაზმს შუა შეტაკება მოხდა. ბოლგართ რაზმში 30 კაცი იყო; 12 მოუკლეს; ოსმალებს 4 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს.

ათინა. ბატონიშვილ ანდრიასა და ბატენბერგელ პრინცესას ქორწინება აგვისტოს დამლევს მოხდება დარმშტადტში.

ცეტინიე. ჩერნოგორიის მეზობლად მდებარე ალბანიის ქალაქებში პორტამ კომისიები დანიშნა მუსულმანთა და ქრისტიანთა შუა სისხლის აღების თაობაზე ატეხილ დავათა გადასაწყვეტად. ამ კომისიების დანიშვნამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. მისვლა-მოსვლა თავისუფალია. შიშიანობა ნაკლებია.

რომი. პაპას რამდენიმე საათი მშვიდად ეძინა. ფილტვებში წყალი არა მატულობს; პაპი წოლისაკენ ტკივილს არა გრძნობს. საზოგადო მდგომარეობა უცვლელადაა. მაჯა 88. ტემპერატურა 36,5.

5 ივლისი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ ტყის დაცვის წესები გავრცელდეს ტფილისის, განჯის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებზე; უმაღლესი ბრძანება დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის მიმართ, რომ იგი იყოს საპატიო მზრუნველი ქალთა სამედიცინო ინსტიტუტისა.

— ფინანსთა სამინისტროსაგან გამოცხადებულია, რომ ლონდონში აგვისტოსა და სექტემბერში (ახალი სტილით) მოხდება გამოფენა სანოვაგისა. დაწვრილებით ცნობების მისაღებათ უნდა მიჰმართონ გამოფენის ბიუროს: Victoria steet, London.

— „ტორგოვ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია უწმ. სინოდის დადგენილება იმის შესახებ, რომ სამღვდელოებამ მოსპოს ის უწესოებანი, რომლებიც შემჩნეულია მეტრიკულ წიგნების წარმოებაში.

რომი. ბიულეტენი საღამოს 7 საათზე: „მოხუც ავადმყოფს მოუსვენრად ეძინა. სისუსტეს უფრო ცოტად გრძნობს. სუნთქვა უფრო ღრმაა“.

სოფია. ოთხმა რწმუნებულმა დღეს მთავარს წარუდგინა დეპუტატების პროტესტი მოხელეთა შესახებ კანონის გაუქმების წინააღმდეგ; პროტესტს ხელი მოაწერა 139 დეპუტატმა 185-დან. მთავარმა მიიღო პროტესტი, რომელშიაც ნათქვამია, ამ კანონის გაუქმება საერო კრების უფლებების დარღვევას უდრისო, რომ მთავრობამ ამით კონსტიტუციის მუხლები დაარღვია და ეხლა სახელმწიფოს თავის ნებაზე და უკანონოდ განაგებსო. მთავარმა ყურადღებით მოისმინა პროტესტის კითხვა და სიტყვიერად დეპუტატებს გადასცა, რომ იგი ყოველთვის მხარე ყოფილა კანონიერებისა, რომელიც მოხელეებს უზრუნველ ჰყოფს, მაგრამ იმისმა სამინისტრომ, ერთად ერთმა პასუხის მგებელმა ამ საქმეში, გამოაცხადა, რომ ამნაირი კანონებით ქვეყნის მართვა შეუძლებელიაო. დეპუტატებმა უპასუხეს, მარტო სამინისტრო არ არის პასუხისმგებელი, რადგანაც სამინისტრო პარლამენტის პარტიების დაუკითხავად შედგაო. მთავარმა გადაჭრით უთხრა, კაბინეთი იმიტომ შედგა ეხლანდელ პირებისაგან, რომ პარლამენტის პარტიებმა არ ისურვეს მის შედგენაში მონაწილეობა მიეღოთ. ამ საქმეზე ძალიან ცხარედ მსჯელობენ.

პეტერბურგის ბირჟა 4 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	$37,32\frac{1}{2}$	
ლონდონზე ჩეკები	94,40	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	$5—6\frac{1}{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	$98\frac{3}{4}$	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$100\frac{3}{4}$	მყიდ.
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$95\frac{1}{8}$	„
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$448\frac{1}{2}$	გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$339\frac{1}{2}$	მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	290	გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	86	„
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$92\frac{3}{8}$	
$4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	$193\frac{1}{2}$	„

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

სამგზავრო ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(რიცხვები გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქ[illegible]ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს.48 წ.).

ზოტაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქალაქ ოზურგეთში

ვყიდი

ავადმყოფობის გამო ძრიელ იაფად ორ-სართულიან ქვითკირის სახლს თორმეტი წმინდა ოთახით, 1700 კვადრატის საჟენი ეზოთი, ეზოში საკუთარი მშვენიერი წყაროთი, შუაგულ ქალაქში, შოსე-ზედა ახლო, რკინის გზაზე 18-ვერსის მოშორებით. რკინის გზის გაყვანა დამტკიცებულია უმაღლეს მთავრობისაგან. პირობის შეტყობა შეიძლება თვით სახლის პატრონთან ტფილისში, მიხეილის პროსპექტზე, № 27 გასრამთავის. ოზურგეთში მიხეილ ნიკოლოზის ძე შარაშანიძესთან. (1—1).

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება [illegible]. სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, ხირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—101)

სასტუმრო

„არაქსი“

სიონის ქუჩაზე. ფასი ხელ-მისაწვდენია. ნომრები ყოველგვარის მოწყობილებით. (3—118—3) პატრონი ეგზარ ეგზარიანცი.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის სადებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. 100—45.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)